უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

მაისი, 2023

თემატიკა:

- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- პლენარული სხდომა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

ბიუროს სხდომა

ბიუროს სხდომა

16 მაისი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, პირველი საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა: 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში, ბიუროს გადაწყვეტილებით, ჩაეშვა კომიტეტებში, განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

ბიურომ პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძისა და ლადო მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატან ცვლილებებს მოიცავს.

ბიურომ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრის - ირაკლი ჩავლეიშვილის მიერ ინიცირებულ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტთან დაკავშირებითაც. სხდომაზე აღნიშნული საკითხები საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

ბიურომ წამყვან კომიტეტს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით განხილვის ვადები გაუხანგრძლივა. საკითხი სხდომაზე უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ წარმოადგინა.
ბიუროს გადაწყვეტილებით, კომიტეტებში ჩაეშვა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

სხდომაზე განისაზღვრა 18 მაისის, მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთ საკითხად, „მინისტრის საათის“ ფორმატში სოფლის მეურნეობის მინისტრს მოუსმენენ.

ბიუროს სხდომა

18 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი განიხილეს.

ბიურომ კანონის პროექტი 18 მაისის პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია.

საკითხი სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა.

ამავე სხდომაზე კენჭი უყარეს 18 მაისის პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილებას.



ბიუროს სხდომა

25 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის პროცედურები დასრულდა. ანგარიში უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილება. გადაწყვეტილება, კანონმდებლებმა, ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

ბიურომ ცნობად მიიღო აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში, რომელზეც, ასევე დასრულებულია რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

კომიტეტის სხდომა

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა

16 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტების თავმჯდომარეები - ლადო მგალობლიშვილი და ცოტნე ანანიძე უძღვებოდნენ, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს მოუსმინეს - ჯაბა ფუტკარაძემ კანონმდებლებს 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარუდგინა.

მომხსენებლის განცხადებით, საანგარიშო წელი საკმაოდ წარმატებული იყო და გამოირჩეოდა ეკონომიკური, უცხოური ინვესტიციების, ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენციით, რაც საბიუჯეტო მაჩვენებლებზეც აისახა.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების წარდგენის შემდეგ, ჯაბა ფუტკარაძემ რეგიონისთვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და პროგრამებზე ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ პროგრამებზე, ასევე, მიმდინარე და გარდამავალ პროექტებზე.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, ორივე კომიტეტმა მინისტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიიღო.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

16 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით, განიხილეს.

უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძისა და ლადო მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული კანონის პროექტი სხდომაზე დავით გაბაიძემ წარმოადგინა.

მომხსენებლის განცხადებით, კანონის პროექტის მომზადება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის ცვლილებებითაა განპირობებული და მასთან ჰარმონიზაციას ისახავს მიზნად.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონის პროექტის პლენარულ სხდომაზე გატანას.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

17 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მორიგ სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 2 საკითხი განიხილეს.

პეტიცია - ,,პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ'' სხდომაზე მისმა ავტორებმა, ქალაქ ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „იდეატორის“ წარმომადგენლებმა - პედაგოგმა ინგა გეგეშიძემ და თვითმმართველობის ხელმძღვანელმა - ანრი მელაძემ წარმოადგინეს.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა პეტიციაზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.

სხდომაზე აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა ფინანსთა და ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებმა - ჯაბა ფუტკარაძემ და ნინო ნიჟარაძემ წარმოადგინეს.

როგორც მომხსენებლებმა აღნიშნეს, პირველი კვარტლის შესრულების მაჩვენებლები უპრეცედენტოდ მაღალია და ეს ტენდენცია, სამომავლოდაც შენარჩუნდება. დეტალური ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, ორივე მინისტრმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.

კომიტეტმა წარმოდგენილი ანგარიშები ცნობად მიიღო.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა

17 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა საბიუჯეტო საკითხებს დაეთმო და მას ამავე კომიტეტების თავმჯდომარეები - დავით ბაციკაძე და ფრიდონ ფუტკარაძე უძღვებოდნენ.

აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 2023 წლის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა კანონმდებლებმა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისგან მოისმინეს.

ჯაბა ფუტკარაძემ ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების წარდგენის შემდეგ, იმ მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა, რომლებიც რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება.

მომხსენებლის განცხადებით, როგორც შარშან, ისე წელს ეკონომიკური ზრდის ტენდენცია გრძელდება, რაც შემოსავლების მაჩვენებლებზეც აისახა. მინისტრის განცხადებით, რეგიონში არ შეჩერებულა არც ერთი პროექტი, მათი ნაწილი დასრულდა, ნაწილზე მუშაობა კი გრძელდება ან დასრულების სტადიაშია.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტებმა ცნობად მიიღეს მინისტრის მიერ წარმოდგენილი ორივე ანგარიში.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

19 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს, 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიაჩნია. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა მორიგ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა.

ანგარიში სხდომაზე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძემ რეგიონის მთავარი საფინანსო კანონის შესრულების პარამეტრებთან ერთად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მუნიციპალიტეტებში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებსა და სიახლეებზე ისაუბრა. მომხსენებელმა უპასუხა შეკითხვებს, რომელთა ნაწილი ახალ სამუშაო ადგილებს, ე.წ. „ოცნების ქალაქის“, მუნიციპალიტეტებში სოციალური სახლების მშენებლობასა და სხვა საკითხებს შეეხებოდა.

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა სხდომაზე, ასევე მიმოიხილა 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება, რომელიც კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბიუროს წარედგინება.

კანონმდებლებმა ცნობად მიიღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება - აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომა

30 მაისი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე უძღვებოდა, სს(ი)პ „აჭარის მუზეუმის“ დირექტორს მოუსმინეს.

თეონა ზოიძე წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისა და სამუზეუმო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გაწეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციით წარსდგა. მისი განცხადებით, 2022 წელს რეგიონის მუზეუმებმა 68 ათასზე მეტ დამთვალიერებელს უმასპინძლეს, მათგან 40 ათასამდე უცხოელი იყო.

მომხსენებელმა ისაუბრა სამუზეუმო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-გაუმჯობესების, საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარების, ინვენტარიზაციის, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებსა და გამოფენებში ჩართულობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

30 მაისი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 2 საკითხი განიხილეს.

კანონმდებლებმა მხარი დაუჭირეს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ კანონის პროექტის, მე-3 მოსმენით, პლენარულ სხდომაზე განხილვას.

კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბიუროს წარედგინება უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“.

ორივე საკითხი სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება

23 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში ზეპირი მოსმენა გაიმართა თემატურ მოკვლევაზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება“. მოსმენაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრი - მარინე გვიანიძე უძღვებოდა, ამავე საბჭოს წევრებმა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებისა და იურიდიული პირებისაგან მოისმინეს ინფორმაცია ღია მმართველობის კუთხით განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ.

კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარე მოსმენაზე, ყურადღება გამახვილდა მოქალაქეების ჩართულობის, შენობებისა და ვებ-გვერდების ადაპტირების, ონლაინ პლატფორმებით, სოციალური ქსელებით ღიაობის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების კრიტერიუმებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოს წევრთა განცხადებით, თემატური მოკვლევის საფუძველზე, ღია მმართველობის გასაუმჯობესებლად, შემუშავდება რეკომენდაციები შესაბამისი დაწესებულებებისთვის.

საკანონმდებლო ორგანოში თემატური მოკვლევა ღია მმართველობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდა. ზეპირ მოსმენამდე, დაინტერესებულ მხარეებს, რეგიონის აღმასრულებელ ორგანოებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ უმაღლესი საბჭოსათვის წერილობით წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები მოკვლევასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოქვეყნებულია ოფიციალურ ვებგვერდზე - www.sca.ge.

პლენარული სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

პლენარული სხდომა - მინისტრის საათი

18 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგი პლენარული სხდომა, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოსმენით დაიწყო. ზაზა შავაძემ, „მინისტრის საათის“ ფორმატში, უწყების მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ვრცელი ანგარიში წარმოადგინა, ისაუბრა პრიორიტეტებზე, სამომავლო გეგმებზე, 2023 წლის ბიუჯეტით გაწერილ პროგრამებსა და სიახლეებზე. კანონმდებლებმა წარმოდგენილი ანგარიში, ცნობად მიიღეს.

სხდომაზე, გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით, განიხილეს და ერთხმად დაამტკიცეს უმაღლესი საბჭოს წევრის - დავით გაბაიძის მიერ წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება, ასევე საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ამავე კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებას მოიცავს.

კანონმდებლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დამოუკიდებელი დეპუტატის - ირაკლი ჩავლეიშვილის მიერ ინიცირებულ რეგლამენტის პროექტსა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის - ლადო მგალობლიშვილის მიერ გამოტანილ კანონის პროექტს უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

ერთხმად დამტკიცდა უმაღლესი საბჭოს წევრის - მარინე გვიანიძის მიერ წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი, რის შემდეგაც კანონმდებლებმა მოისმინეს და ცნობად მიიღეს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტების ანგარიშები, რომლებიც ამავე კომიტეტების თავმჯდომარეებმა წარმოადგინეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, გაკეთდა განცხადებები: კანონმდებლებმა პარტნიორი, დონორი ორგანიზაციებისა და აპარატის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადეს უმაღლესი საბჭოს შენობის სრული ადაპტირებისთვის გაწეული საქმიანობისთვის.

სხდომაზე განცხადება გააკეთა ოპოზიციური ფრაქციის წევრმა - მედეა ვასაძემ, რომელიც კოლეგების ბოიკოტს შეუერთდა და დარბაზი დატოვა.

პლენარულ სხდომაზე იმყოფებოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც დასწრება ახალი ვებპლატფორმის - chaerte.sca.ge-ის მეშვეობით ჩანიშნეს.

რიგგარეშე
პლენარული სხდომა

29 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, პირველ საკითხად - 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში განიხილეს.

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის - ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, ბიუჯეტის შემოსავლები 106,8%-ით შესრულდა. მთავარი საბიუჯეტო პარამეტრების შემდეგ, მომხსენებელმა რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროექტებზე ისაუბრა და უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

ანგარიშთან დაკავშირებით, თანამოხსენებებით- აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - კახაბერ კირტავა და უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე წარსდგნენ.

ანგარიში 12 ხმით დამტკიცდა, რის შემდეგაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, გამარტივებული წესით, მისმა ერთ-ერთმა ინიციატორმა, უმაღლესი საბჭოს წევრმა - დავით გაბაიძემ წარმოადგინა. ცვლილება ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციითაა განპირობებული და ნორმატიული აქტების მომზადებისას გენდერული გავლენის შეფასების აღწერის ვალდებულებას ითვალისწინებს. კანონის პროექტი ერთხმად დამტკიცდა.

II მოსმენით, ასევე ერთხმად დამტკიცდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ კანონის პროექტიც, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

სხდომაზე განიხილეს და ცნობად მიიღეს უმაღლესი საბჭოს - აგრარულ და გარემოს დაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტების ანგარიშები 01.09.2021წ.-31.12.2022 წ. პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

ბსუ-სა და მოხალისეთა ორგანიზაცია - “ვემსახურები საქართველოს” შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

3 მაისი, 2023 წელი

„აჭარის უმაღლესი საბჭო მიესალმება სამოქალაქო თავდაცვის გაძლიერების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს და მხარს უჭერს ამ მიმართულებით ახალგაზრდების ინიციატივებს“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ტიტე არაშიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ) გამართულ შეხვედრაზე.

ღონისძიებაზე, რომელიც ტოტალური სამოქალაქო თავდაცვის გაძლიერების საკითხებს დაეთმო, ბსუ-სა და მოხალისეთა ორგანიზაცია - “ვემსახურები საქართველოს” შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი უნივერსიტეტში დასაქმებულებისა და სტუდენტების თავდაცვითი მიმართულებით სწავლებებში ჩართვას ითვალისწინებს. შეხვედრას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - ცოტნე ანანიძე და დავით ბაციკაძე ესწრებოდნენ.

ტიტე არაშიძემ 127-ე საბავშვო ბაღის მშენებლობა დაათვალიერა

4 მაისი, 2023 წელი

„ბათუმში სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი პრიორიტეტია. სკოლებთან ერთად მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღების მშენებლობა. ამჯერად, ბაგრატიონის ქუჩაზე ვიმყოფებოდით ქალაქის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად, სადაც 127-ე საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა საკანონმდებლო ორგანოში - ტიტე არაშიძემ.

მშენებარე ობიექტზე დასრულებულია შიდა სივრცის წყალმომარაგების, წყალარინებისა და ელექტრო სისტემების მოწყობის სამუშაოები. 270 აღსაზრდელზე გათვლილ საბავშვო ბაღს ექნება კეთილმოწყობილი ეზო და სამუშაოები მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლომდე დასრულდება.

პროექტის ღირებულება 1 მილიონ 540 ათას ლარს აჭარბებს.

წელს, ქალაქის მასშტაბით, 22 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

საჯარო განხილვა- ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები

4 მაისი, 2023 წელი

„შეხვედრაზე საუბარი იყო ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებზე, სიახლეებზე. გავეცანით ახალ სოციალურ პროგრამას, რომელიც დედათა და ორსულთა ერთჯერად მატერიალურ დახმარებას ითვალისწინებს და პირველად ხორციელდება. ყურადღება გამახვილდა დამხმარე ტექნოლოგიების ნაწილზე, რომლებიც შშმ პირთათვის ძალზე მნიშვნელოვანია და მისი იმპლემენტაცია მიმდინარეობს“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პრიორიტეტების საჯარო განხილვისას.

უწყებამ 2024 წლის პრიორიტეტები სამედიცინო და შესაბამისი სერვისების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით განიხილა. აქვე წარმოდგენილი იყო მომავალი წლის პროგრამების პროექტები და სიახლეები.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, 2024 წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნაერთი ბიუჯეტი 5 მილიონამდე გაიზრდება და 38 160 000 ლარი იქნება. ჯამში, სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად, 33 პროგრამას განახორციელებს.

ექსკურსია-საინფორმაციო შეხვედრა უმაღლეს საბჭოში

5 მაისი, 2023 წელი

„ჩვენი ქვეყნის მომავალი ევროპაშია და სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი ვექტორი სწორედ ამ მიზნის მიღწევისკენაა მიმართული. იმედი მაქვს, რომ ეს დრო მალე დადგება და თქვენი თაობა საქართველოს ევროინტეგრაციის უშუალო მომსწრე იქნება“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ, საკანონმდებლო ორგანოში ექსკურსია-საინფორმაციო შეხვედრაზე სტუმრად მყოფ „ევრო -2000“, მე-20, 29 -ე და მე-10 საჯარო სკოლების მოსწავლეებთან.

ახალგაზრდები საკანონმდებლო საქმიანობის სპეციფიკით, პრინციპებით, ევროინტეგრაციის გზაზე სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრესი ასპექტებით, უმაღლესი საბჭოს შენობისა და ქართული პარლამენტარიზმის ისტორიით დაინტერესდნენ და მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხები უმაღლესი საბჭოს წევრისაგან, ასევე მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელისაგან - ცირა ხაჯიშვილისაგან მოისმინეს.

მოსწავლეებმა ექსკურსია-საინფორმაციო შეხვედრა საკანონმდებლო ორგანოს ვებ-პლატფორმა - chaerte.sca.ge-ის საშუალებით ჩანიშნეს.

მარინე გვიანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე სოფლის მეურნეობის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვას დაესწრნენ

8 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები - მარინე გვიანიძე და ფრიდონ ფუტკარაძე სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვას დაესწრნენ.
უწყების პრიორიტეტები შეხვედრის მონაწილეებს მინისტრმა - ზაზა შავაძემ გააცნო. მომხსენებელმა ისაუბრა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვასა და ტყის მდგრადი მართვის საკითხებზე, ასევე სამომავლო გეგმებზე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სამინისტრო, 2024 წელს 15 პროგრამას განახორციელებს, რომელიც მოიცავს 27 ქვეპროგრამას. დაგეგმილია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ბიუჯეტის ზრდა.

პრიორიტეტების განხილვას მინისტრის მოადგილეები, მუნიციპალიტეტების, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

სოფლის ტურიზმის მე-4 საერთაშორისო კონფერენცია

12 მაისი, 2023 წელი

"სოფლის ტურიზმის განვითარება ერთ- ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მსგავსი ღონისძიებების მიზანი ამ მხრივ არსებული საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება-დანერგვაა", - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ფრიდონ ფუტკარაძემ ბათუმში გამართული ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალურ ასამბლეასა და სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაზე.

ფორუმზე, რომელშიც 10-მდე ევროპული ქვეყნისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საოჯახო სასტუმროების, სასტუმრო სახლების, ტურისტული სააგენტოების, ეკოტურიზმის სხვადასხვა სფეროს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მინაწილეობდნენ, სოფლის ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩაეშვა

17 მაისი, 2023 წელი

„ძლიერი ეკონომიკა და ქვეყანა დგას ძლიერ ადამიანურ კაპიტალზე, რომლის მთავარი ფუნდამენტი განათლების სისტემა და ძლიერი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაა. მიხარია, რომ ჩვენს რეგიონში ძველი სასკოლო ინფრასტრუქტურის შეცვლა და ახლის მშენებლობა შეუქცევად პროცესად იქცა,“- აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის მშენებლობის დაწყების ღონისძიებაზე.

ახალი სასწავლო დაწესებულების საძირკველში სიმბოლური კაფსულა, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა ჩაუშვეს.

1000 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების ახალ სკოლაში ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, 300 მაყურებელზე გათვლილი სააქტო დარბაზი, ღია და დახურული სპორტული მოედნები განთავსდება. შენობა იქნება სრულად ადაპტირებული.

აჭარის მწერალთა სახლთან ფრიდონ ხალვაშის ბიუსტი დადგეს

17 მაისი, 2023 წელი

ფრიდონ ხალვაში თავისი ცხოვრებით, პოეზიით უდავოდ იმსახურებდა იმ დიდ სიყვარულს, რომელიც ახლა უკვე თაობებს გადაეცემა," - აღნიშნა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ სახელოვანი პოეტის - ფრიდონ ხალვაშის ბიუსტის გახსნის ღონისძიებაზე.

ფრიდონ ხალვაშს დღეს 98 წელი შეუსრულდებოდა. გამორჩეული ხელწერის პოეტი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი, შოთა რუსთაველის სახელობის, სხვა არაერთი პრემიის ლაურეატი და 50-მდე წიგნის ავტორი.

პოეტის ბიუსტი, რომლის ავტორი მოქანდაკე თეიმურაზ მახარაძეა, ბათუმში, აჭარის მწერალთა სახლის მოპირდაპირედ განთავსდა. მისი გახსნის ღონისძიება, სიმბოლურად, პოეტის დაბადების დღეზე - „ფრიდონობაზე" გაიმართა და მას საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების, შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოების წარმომადგენლები და პოეტის ახლობლები ესწრებოდნენ.

უფასო სამედიცინო გამოკვლევები, ამჯერად, ქედასა და შუახევში ჩატარდა

19 მაისი, 2023 წელი

"აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი ტრადიციას აგრძელებს და რეგიონში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენელთა აქტიური მხარდაჭერით, ატარებს მოსახლეობის უფასო, პერიოდულ სამედიცინო გამოკვლევებს,"- აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ მაღალმთიან აჭარაში მორიგი აქციის დასრულების შემდეგ.

საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი კომიტეტის ინიციატივით, უფასო სამედიცინო გამოკვლევები, ამჯერად, ქედასა და შუახევში მცხოვრებ 300-მდე მოქალაქეს ჩაუტარდა მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების მხარდაჭერით.

აქციის ფარგლებში, ჯანმრთელობის კვლევა და შესაბამისი კონსულტაციები მოსახლეობას "ქირურგიის ეროვნული ცენტრისა" და "ევექსის ჰოსპიტალების" სხვადასხვა პროფილის ექიმებმა ჩაუტარეს.

ექსკურსია აჭარის უმაღლეს საბჭოში

24 მაისი, 2023 წელი

უმაღლეს საბჭოს სკოლა ევრო-2000-ის მე-4 დ კლასის მოსწავლეები ეწვივნენ.

26 მაისის ქუჩაზე ჩამონგრეული კორპუსის ადგილას 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება

24 მაისი, 2023 წელი

26 მაისის ქუჩაზე ჩამონგრეული კორპუსის ადგილას 7 სართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება. ბინებით დაკმაყოფილდება ყველა ოჯახი, ვინც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა.

საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი კომიტეტის ინიციატივით, უფასო სამედიცინო გამოკვლევები, ამჯერად, ქედასა და შუახევში მცხოვრებ 300-მდე მოქალაქეს ჩაუტარდა მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების მხარდაჭერით.

აქციის ფარგლებში, ჯანმრთელობის კვლევა და შესაბამისი კონსულტაციები მოსახლეობას "ქირურგიის ეროვნული ცენტრისა" და "ევექსის ჰოსპიტალების" სხვადასხვა პროფილის ექიმებმა ჩაუტარეს.

ილია ვერძაძე საქართველოს პარლამენტის „მადლობის სიგელით“ დაჯილდოვდა

24 მაისი, 2023 წელი

ილია ვერძაძე, რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში გაწეული საქმიანობისთვის, საქართველოს პარლამენტის „მადლობის სიგელით“ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ზაზა ლომინაძემ დააჯილდოვა. სიგელი, საკანონმდებლო ორგანოს წევრს, აჭარის უმაღლეს საბჭოში გამართულ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის გასვლით სამუშაო შეხვედრაზე გადაეცა.

„აჭარის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის კოორდინირებული მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინტეგრირებულ ქმედებებს მეტი შედეგი მოაქვს. მსგავსი ღონისძიებები გვეხმარება ეფექტური გადაწყვეტილებები მივიღოთ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით,“ - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ.

სამუშაო შეხვედრაზე, რეგიონში, 2023 წლის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების მიმდინარეობისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაცია, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა - ნინო ნიჟარაძემ წარმოადგინა. მომხსენებელმა უპასუხა კანონმდებელთა კითხვებს.

შეხვედრას პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - თამილა ბარკალაია, აჭარის დარგობრივი სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა და სამუშაო შეხვედრა, აჭარის უმაღლეს საბჭოში, 25 და 26 მაისსაც გაიმართება.

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

26 მაისი, 2023 წელი

26 მაისს, აჭარის უმაღლეს საბჭოში, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

„DRG პროგრამა მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული დაფინანსების მოდელია, რომლის დანერგვა პაციენტს დამატებით ხარჯებს აარიდებს და მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით განსაზღვრული თანაგადახდის წილის დაფარვა მოუწევს“, - აღნიშნა უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ ილია ვერძაძემ სამუშაო შეხვედრის გახსნისას.

უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტის მხარდაჭერით გამართულ შეხვედრაზე, ინფორმაცია დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების მოდელის მიმდინარეობასთან, ასევე ამ მოდელის აჭარაში დანერგვის პროცესში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ - ილია ღუდუშაურმა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა - ნინო ნიჟარაძემ წარმოადგინეს.

სამუშაო შეხვედრა, რომელსაც აჭარაში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

გასვლითი სამუშაო შეხვედრა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ზაზა ლომინაძემ შეაჯამა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

26 მაისი, 2023 წელი

„დეპუტატის საათის“ ფორმატში ტიტე არაშიძე ბსუ-ს ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა

31 მაისი, 2023 წელი

„მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები ქვეყნისა და რეგიონის მთავარი საფინანსო კანონის ფორმირების საკითხებით ინტერესდებიან,“- აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას.

„დეპუტატის საათის“ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე, უმაღლესი საბჭოს წევრმა ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო მოწყობისა და პროცედურების შესახებ ისაუბრა. ყურადღება გამახვილდა აჭარის საკანონმდებლო ორგანოში ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებზე, ასევე საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშემწყობ სერვისებსა და სიახლეებზე, კერძოდ, ახალ ვებპლატფორმა - CHAERTE.SCA.GE-ზე.

ახალი ონლაინპლატფორმა მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს სახლიდან გაუსვლელად ჩანიშნონ შეხვედრები უმაღლესი საბჭოს წევრებთან, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები ამა თუ იმ კანონის პროექტზე, შემოიტანონ პეტიცია, დაესწრონ სხდომას და ა.შ.

ტიტე არაშიძე აღნიშნულ ფორმატში ახალგაზრდებთან შეხვედრებს პერიოდულად მართავს.

საერთაშორისო ურთიერთობები

დავით გაბაიძე პოლონეთის ლუბუშის სავოევოდოს ქალაქ ზიელონა გორასა და ბათუმს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ოქროს მედლით დაჯილდოვდა

1 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, პოლონეთის ლუბუშის სავოევოდოს ქალაქ ზიელონა გორასა და ბათუმს შორის მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, აჭარაში ოფიციალური ვიზით მყოფმა ზიელონა გორას მერმა - იანუშ კუბიცკიმ და მერის მოადგილემ - ვიოლეტა ჰარეზლაკმა საგანგებო - ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

უმაღლეს საბჭოში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე და ზიელონა გორას მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ყურადღება გამახვილდა ლუბუშსა და აჭარას შორის საქმიანი ურთიერთობების საკითხებზე.

დავით გაბაიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა ჩვენს რეგიონთან აქტიური თანამშრომლობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ლუბუშსა და აჭარას შორის სამომავლო თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში კვლავაც წარმატებით განვითარდება.

შეხვედრის დასასრულს, დელეგაციის წევრებმა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ოფიციალურად მიიწვიეს ლუბუშის სავოევოდოს ტრადიციულ „ღვინის ფესტივალზე“.

დავით გაბაიძე ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებაზე

10 მაისი, 2023 წელი

„ დღეს, საქართველოს დიდ მეგობარსა და გულშემატკივარს, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ჩვენი მოძმე სახელმწიფოს უახლესი ისტორიის გამორჩეულ ლიდერს - ჰეიდარ ალიევს 100 წელი შეუსრულდებოდა. უმნიშვნელოვანესია მისი ღვაწლი ორ მეზობელ ქვეყანას შორის მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებაში “, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, ბათუმში, აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერის, ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებაზე.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აზერბაიჯანის გენერალურმა კონსულმა ქალაქ ბათუმში - პარვიზ ისმაილზადემ. მან ქვეყნის ისტორიაში ჰეიდარ ალიევის განსაკუთრებულ დამსახურებასა და იმ ურთიერთობებზე ისაუბრა, რომლებიც წარმატებით გრძელდება საქართველო-აზერბაიჯანს შორის.

საზეიმო მიღებას აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსების, ჩვენს რეგიონში მცხოვრები დიასპორებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დავით გაბაიძემ ქვემო სილეზიის დელეგაციას უმასპინძლა

22 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ პოლონელ სტუმრებს უმასპინძლა. დელეგაციის შემადგენლობაში ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის, ტშებნიცას მუნიციპალიტეტის მერიისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები არიან.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა ევროინტეგრაციის გზაზე ჩვენი ქვეყნის აქტიური მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ ქვემო სილეზიასა და აჭარას შორის წლების წინ დაწყებული მეგობრული, საქმიანი ურთიერთობები სულ უფრო ფართოვდება და ახალ ფაზაში გადადის. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამჯერად, შუახევისა და ტრებნიცას მუნიციპალიტეტების დაახლოების მიზნით, გაფორმდება მემორანდუმი, რომელიც სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის საერთაშორისო თანამშრომლობის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხალ ბობოვიჩმა და ქალაქ ტშებნიცას მერმა - მალგოჟატა მატუსიაკმა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადეს მასპინძლობისა და აჭარასა და ქვემო სილეზიას შორის თანამშრომლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

შუახევსა და ტშებნიცას შორის მემორანდუმი გაფორმდა

22 მაისი, 2023 წელი

„შუახევსა და ტშებნიცას შორის თანამშრომლობა გაგრძელებაა იმ ურთიერთობებისა, რომლებიც აჭარასა და ქვემო სილეზიას უკვე წლებია მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან," - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ, შუახევში, ორი მეგობარი რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებაზე.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის შეფასებით, ასეთი პარტნიორული ურთიერთობები არ რჩება მხოლოდ ფურცელზე და აქვს ხელშესახები შედეგები განათლების, ჯანდაცვის, ტურიზმისა და სხვა მიმართულებით.

ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი, რომელსაც შუახევისა და ტშებნიცას მუნიციპალიტეტების მერებმა - ომარ ტაკიძემ და მალგოჟატა მატუსიაკმა მოაწერეს ხელი, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას, ერთობლივი პროექტების დაგეგმარება-განხორციელებას ითვალისწინებს.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დელეგაციის წევრებმა და შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი და ქართველი გმირების პატივსაცემად სიმბოლურად დარგეს ხეები. შუახევისა და ტშებნიცას მუნიციპალიტეტებს შორის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების დაწყების ნიშნად, გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელშიც შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

დავით გაბაიძე ქალაქ ბათუმში სომხეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს შეხვდა

24 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, ქალაქ ბათუმში სომხეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულს - ნარინე მათოსიანსა და კონსულს - ვაჰაგნ ფილიპოსიანს შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ, ახალ კონსულს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

მხარეებმა ორი მეზობელი ქვეყნის რეგიონული ურთიერთობის გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა ერთობლივი პროექტების განხორციელების მნიშვნელობასა და სხვადასხვა სფეროში სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

დავით გაბაიძე აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას დაესწრო

25 მაისი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას დაესწრო. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ორ მეგობარ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აზერბაიჯანელ ხალხს ეროვნული დღესასწაული მიულოცა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ - აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აზერბაიჯანის გენერალური კონსული ქალაქ ბათუმში - პარვიზ ისმაილზადა, ხელისუფლების, სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

კონფერენციას დიპლომატიური მისიების, სხვადასხვა დიასპორის, სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

- 3 მაისი პრესის თავისუფლების დღეა - 3.05.2023
- საინფორმაციო შეხვედრა უმაღლეს საბჭოში - 5.05.2023
- ბარბარობა - 6.05.2023
- სახალხო დღესასწაული - "მარეთობა 2023" - 6.05.2023
- ბათუმში ფაშიზმზე გამარჯვებიდან 78-ე წლისთავი აღინიშნა - 9.05.2023
- ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე - 12.05.2023
- ,,ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის" რიგით მე-14 საერთაშორისო გამოფენა - „EBIT 2023" - 19.05.2023
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26.05.2023
- დავით გაბაიძე და ილია ვერძაძე მხარდამჭერი სერვისების ინტერაქციულ გამოფენას დაესწრნენ - 28.05.2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge